საქართველოს წყის კოდექსი

მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 22 მაისს

ხშირად დასმული კითხვები

2020

პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და დაიბეჭდა პროგრამის - „ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებებით უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში" (ECOserve) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით.

This publication has been elaborated by the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia and is printed in the frame of the „Management of natural resources and safeguarding of ecosystem services for sustainable rural development in the South Caucasus" (ECOserve) programme implemented by Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH on behalf of the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ).

ფოტოები:

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
- ბენედიქტ იბელე

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

საქართველოს ტყე

საქართველოს ტყე არის ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს მოიცავს (3 043 886 ჰა). მას უდიდესი ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახ-ლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების გაუმჯობესებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და ახალი "საქართველოს ტყის კოდექსის" შემუშავების აუცილებლობა

ტყის სექტორის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, რომელიც შედგება როგორც საკანონმდებლო, ისე მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტებისგან, იყო საკმაოდ მოძველებული, უმეტეს შემთხვევაში წინააღმდეგობრივი, იგი არ პასუხობდა ტყის მართვის თანამედროვე სტანდარტებს და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. არსებულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანა აღარ იყო რელევანტური პროცესისთვის. ამდენად, ეროვნული სატყეო კონცეფციის საფუძველზე გადაწყდა სრულიად ახალი, საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ საჭიროებებზე მორგებული სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება, რომლის ცენტრალურ დოკუმენტს წარმოადგენს „საქართველოს ტყის კოდექსი". ახალი კოდექსი ტყის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების გათვალისწინებით ამკვიდრებს ტყის მდგრადი მართვის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მიდგომებს.

“საქართველოს ტყის კოდექსის” შემუშავების ისტორია

ახალი “საქართველოს ტყის კოდექსი” სატყეო სექტორის რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელიც 6 წლიანი სამუშაო პროცესის შედეგად მომზადდა ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის და გერმანიის მთავრობის დახმარებით. კოდექსი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გარდა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წელს დამტკიცებულ ეროვნულ სატყეო კონცეფციას და სამთავრობო გეგმებს პასუხობს და ამკვიდრებს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს.

“საქართველოს ტყის კოდექსის” ავტორია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასზე, ძირითადად, ქართველმა მეტყევე-სპეციალისტებმა და იურისტებმა იმუშავეს. 2014 წლიდან კოდექსის დამტკიცებამდე კანონპროექტის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით 300-ზე მეტი საჯარო განხილვა და თემატური კონსულტაცია გაიმართა.

“საქართველოს ტყის კოდექსი” განსაზღვრავს, თუ როგორ იმართოს მომავალში ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%. მთავარი მიზანია მდგრადი და მრავალმიზნობრივი ტყითსარებლობის დამკვიდრება, ტყის ეკოსისტემების შენარჩუნება და დაცვა, სოციალური და ეკონომიკური სარგებლის გონივრული გამოყენება, მოქალაქეებისთვის ტყესთან და ტყის რესურსებთან დაკავშირებული ურთიერთობების გაუმჯობესება .

“საქართველოს ტყის კოდექსზე” მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის სხვადასხვა დარგის (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ენერგეტიკა და სხვა) განვითარებაც.

“საქართველოს ტყის კოდექსი” საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2020 წლის 22 მაისს.

ხშირად დასმული კითხვები

ხშირად დასმული კითხვების ამ ნაწილში იპოვით პასუხებს "საქართველოს ტყის კოდექსის" საკვანძო საკითხების შესახებ

1 რა არის ტყე ?

ახალი “საქართველოს ტყის კოდექსით” უქმდება აქამდე არსებული ტყის ფონდის განმარტება და მკვიდრდება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საერთაშორისოდ აღიარებულ განმარტებასთან მისადაგებული ცნება:

ტყე – ტყის კონტურის შიგნით არსებული ტყის შემქმნელი სახეობებით დაფარული ტერიტორია და სხვა ტერიტორია, რომელიც ტყის ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია: ტყის შემქმნელი მერქნიანი მცენარის ერთი ან რამდენიმე სახეობით დაფარული, არანაკლებ 10 მ სიგანისა და სულ მცირე 0.5 ჰა მიწის ფართობი, სადაც ხეთა დგომის სიმჭიდროვე ფართობის ერთეულზე შეადგენს არანაკლებ 0,1 სიხშირეს; სხვა ტერიტორიები: ტერიტორია, სადაც ტყის შემქმნელი სახეობები ბუნებრივი ან/და ანთროპოგენური მოვლენების შედეგად დროებით დეგრადირებული ან განადგურებულია; ტყის მიწა – ტყის კონტურის შიგნით არსებული მიწის ღია ფართობი: მიწა, რომელიც გამოიყენება სათიბად ან საძოვრად; სპეციალური დანიშნულების მიწა; მიწა, რომელიც მოიცავს ტყეში არსებულ ჭაობს, კლდეს, რიყეს ან ტყის გაშენებისთვის გამოუყენებელ სხვა მიწის ფართობს; სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურა (სატყეო გზა, ხე-ტყის დასაწყობების ადგილი, საქმიანი ეზო) და სხვა.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე იცვლება ტყეზე საკუთრების ფორმებიც. ახალი განმარტება გაამარტივებს საერთაშორისო ანგარიშგების და ეროვნულ დონეზე ტყის ზუსტი საზღვრების დადგენის საკითხებს.

2 რა არ მიიჩნევა ტყედ ?

- ტყის კონტურის გარეთ არსებული მიწის ფართობი: ბაღი (ხეხილის და სხვა), სკვერი, პარკი, ხეთა ზოლი, რომელიც ასრულებს ნიადაგის ეროზიისგან დაცვის ფუნქციას (ქარსაფარი ზოლი);
- ტერიტორია, რომელიც ტყეში არ არის და გამოიყენება მოკლევადიანი მონაცვლეობისთვის ტყის შემქმნელი სახეობების გაშენებიდან 30 წლამდე პერიოდში (პლანტაცია);
- მერქნიან სახეობათა დენდრარიუმი, საახალწლო ხის პლანტაცია;
- მერქნიან ხეთა (კაკალნაყოფიანების) პლანტაცია ნაყოფის მისაღებად, ხილკენკროვანი სახეობების პლანტაცია.

3 ვინ შეიძლება იყოს ტყის მესაკუთრე ?

- სახელმწიფო
- მუნიციპალიტეტი
- კერძო პირი

ახალი კოდექსით პირველად საქართველოს ისტორიაში ჩნდება მუნიციპალური და კერძო საკუთრების ტყე. მნიშვნელოვანია, რომ ტყის მართვის, სარგებლობის, მოვლის, დაცვისა და აღდგენის საკითხები სავალდებულოა ყველასთვის განურჩევლად მესაკუთრისა.

საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია ტყის პრივატიზაცია.

4 რა არის სახელმწიფო ტყე ?

საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც არ არის მუნიციპალურ ან კერძო საკუთრებაში.

ახალი კოდექსის შესაბამისად, საქართველოს ტყეების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად რჩება.

5 რა არის მუნიციპალური ტყე ?

თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომლის მართვას ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

2030 წლამდე უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნის შესაბამისად, მოხდება ტყეების გარკვეული ნაწილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, მხოლოდ ინვენტარიზაციისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შემდეგ.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში ტყეზე კონტროლს მუნიციპალური ზედამხედველობის ორგანოები განახორციელებენ.

6 რას არის კერძო საკუთრების ტყე და ვინ შეიძლება, გახდეს ტყის კერძო მესაკუთრე ?

კერძო საკუთრების ტყე არის საქართველოს ტყის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე. ტყის კერძო საკუთრებაში დარეგისტრირება საქართველოში პირველად მოხდება.

თუ კერძო პირის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე აღმოჩნდა ტყე, რომელიც აკმაყოფილებს კოდექსით დადგენილ განმარტებას, თანხმობის შემთხვევაში სახელმწიფო მიანიჭებს ტყის სტატუსს და პირი ტყის მესაკუთრე გახდება. აღსანიშნავია, რომ კანონის ამოქმედებამდე ამორიცხული ტყის ფართობები, რომლებზეც ტყის კანონმდებლობა აღარ ვრცელდებოდა და ისინი განფენილი იყო კერძო ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ ფართობზე, შესაძლოა, ისევ ტყის სტატუსის მატარებელი გახდეს.

ტყის კერძო მესაკუთრე შესაძლოა გახდეს საქართველოს საპატრიარქოც - ახალმა კოდექსმა გააუქმა ძველი კოდექსით (1999წ) დადგენილი ე.წ "მიჩენის" ფორმა, რომლის თანახმადაც ტყეში არსებული ეკლესია-მონასტრების ირგვლივ არსებული ტერიტორიები გარკვეული ვადით (უმეტესად 20 წელი) გადაეცემოდა სამართავად საქართველოს საპატრიარქოს.

ახალმა კოდექსმა და თანმდევმა ცვლილებებმა სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში დააზუსტა და გაამკაცრა მიდგომა. საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში შესაძლოა გადაეცეს 2004-2009 წლებში მიჩენილი ტერიტორიები (1586,55 ჰა), ასევე, საპატრიარქოს შეუძლია, დასვას საკითხი დამატებითი ტერიტორიების გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა, მხოლოდ ტყეში არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარედ - არაუმეტეს 20 ჰა ფართობისა თითოეულ შემთხვევაში. ამასთან ფართობი უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ არ მოხდეს ბუნებრივი საზღვრებისა და ეკოსისტემის მთლიანობის დარღვევა. მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელსაც საფუძვლად უდევს სპეციალური კომისიის დასკვნა.

მნიშვნელოვანია, რომ ტერიტორიების გადაცემის შემდეგ, მიუხედავად საკუთრების ფორმის ცვლილებისა, არ იცვლება ამ ფართობების სტატუსი, იგი რჩება როგორც საქართველოს ტყე და შესაბამისად, უნდა იმართებოდეს "საქართველოს ტყის კოდექსით" დადგენილი ნორმების შესაბამისად.

7 რას გულისხმობს ტყის მდგრადი მართვა ?

ტყის მდგრადი მართვა გულისხმობს ტყეებისა და ტყის რესურსებით ისეთი მეთოდებით სარგებლობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლის-უნარიანობის შენარჩუნებას, ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას და ტყის მართვაში საზო-გადოების მონაწილეობას.

ტყის რესურსებით სარგებლობისას უნდა დაკმაყოფილდეს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები, განვითარდეს მცირე ბიზნესი, ხელი შეეწყოს რეგიონებში დასაქმებას და დამატებითი პროდუქციის წარმოებას, დაცულ იქნას საკმარისობის პრინციპი, რათა სარგებლობის დროს არ შეექმნას საფრთხე ბუნებას, ტყის ეკოსისტემები დაცულ იქნას დაზიანებისგან და შეუნარჩუნდეს მომავალ თაობებს.

8 რა კატეგორიებს ითვალისწინებს “საქართველოს ტყის კოდექსი” ?

ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესაბამისად, “საქართველოს ტყის კოდექსი” ითვალისწინებს ტყის 4 კატეგორიად დაყოფას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ტყეების მართვა თავისი ძირითადი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. ტყეებისთვის კატეგორიის მინიჭება ხდება ტყის აღრიცხვის საფუძველზე. მათი მართვა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის შესაბამისად.

ტყის კატეგორიებია:

- დაცული ტყე
- დაცვითი ტყე
- საკურორტო და სარეკრეაციო ტყე
- სამეურნეო ტყე

9 რა შემთხვევაშია დასაშვები ტყიდან ფართობის ამორიცხვა (ტყის გარდაქმნა არასატყეო ფართობად/მიწად) ?

ტყიდან ფართობის ამორიცხვა დასაშვებია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშ-ვნელობის პროექტების განხორციელების დროს. საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა ზიანის კომპენსაცია. კოდექსი შეიცავს მნიშვნელოვან დათქმას, რომლის თანახმადაც, ტყის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, თუ აღარ არსებობს ტერიტორიისთვის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი, ტერიტორიას დაუბრუნდეს ტყის სტატუსი.

10 როგორია საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები ტყის მართვის პროცესში ?

ტყის მდგრადი მართვის ჩამოყალიბება საქართველოს რეალობაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე. შესაბამისად, ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე მოსახლეობის ინტერესები იქნება გათვალისწინებული. ტყის მართვის გეგმები დამტკიცდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

11 ვინ არიან ტყის მართვის ძირითადი ორგანოები ?

სახელმწიფო ტყის ძირითად ნაწილს მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო.**

ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოს ქმნის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აჭარის ა/რ ფარგლებში არსებულ ტყეს მართავს **სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო**.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებულ ტყეს მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო**.

მუნიციპალიტეტის ტყის მართვის ორგანოს ქმნის და ტყის მართვის გეგმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო). ამჟამად ტყეს მართავს ორი მუნიციპალიტეტი: **თბილისისა** და **ახმეტის** მუნიციპალიტეტები.

კერძო საკუთრების ტყის მართვას განახორციელებს ტყის მესაკუთრე ან მის მიერ ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

12 ვინ არის ტყის კონტროლზე/ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანო ?

საქართველოს ტყეში, გარდა მუნიციპალური ტყისა, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ხოლო მუნიციპალური ტყის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (მერია) მიერ შექმნილი უფლებამოსილი ორგანო.

დაცული ტერიტორიების ფართობზე არსებული ტყის სახელმწიფო კონტროლს, აგრეთვე, ახორციელებს ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორ-განო - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

13 როგორ განხორციელდება საქართველოს ტყის აღრიცხვა და მონიტორინგი ?

“საქართველოს ტყის კოდექსით” მკვიდრდება საერთაშორისოდ აღიარებული ტყეების ეროვნული აღრიცხვისა და ტყის ერთიანი საინფორმაციო სისტემა, რომელიც ქვეყანას დაეხმარება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და საერთაშორისო ანგარიშგების განხორციელებაში.

საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემა შედგება საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის, ტყეთმოწყობის, საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემისაგან. საქართველოს ტყის ტერიტორიაზე, სამინისტროს მიერ 10 წელიწადში ერთხელ ტარდება ტყის ეროვნული აღრიცხვა, რომელიც მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს ტყის მდგომარეობისა და მისი მრავალფეროვნების შესახებ. აღნიშნული ხორციელდება მუდმივ სანიმუშო ფართობზე დაკვირვებითა და მონიტორინგით.

ტყეთმოწყობა ტარდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ტყის მართვის ორგანოს სამოქმედო საზღვრებში. ის უფრო კონკრეტული და დეტალურია, ვიდრე ტყის ეროვნული აღრიცხვა. ტყეთმოწყობის მასალები აისახება ტყის მართვის გეგმაში, რომელიც არის ფუნქციური დაგეგმვის საფუძველზე ტყითსარგებლობისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების სავალდებულო დოკუმენტი.

საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს სისტემატიზებული დოკუმენტების ერთობლიობას, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია საქართველოს ტყეზე, ტყის დაცვაზე, აღდგენა-გაშენებაზე, კვლავწარმოებასა და ტყითსარგებლობაზე.

ტყის მონიტორინგის მიზანია საქართველოს ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის ასახვა/ანალიზი, დაკვირვება და მისი გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო ორგანოებისათვის ანალიზის შედეგების მიწოდება. ასევე, საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება და საერთაშორისო ანგარიშგება.

14 ტყითსარგებლობის რა სახეებს უშვებს ახალი კანონი ?

ტყის მერქნული რესურსების არასწორი და უკანონო ექსპლუატაცია სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მდგრად ტყითსარგებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილია ვალდებულება, რომ ტყითსარგებლობა ყოველ ეტაპზე ემყარებოდეს წინასწარ დაგეგმვას. ტყითსარგებლობის დაგეგმვისთვის მუშავდება ტყის მართვის ან/და წლიური სამოქმედო გეგმა. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან და კომპლექსურ ტყითსარგებლობას, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს რამდენიმე სახის ტყითსარგებლობას.

ტყითსარგებლობის დაგეგმვისას რეკომენდებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ზიანს არ აყენებს გარემოსა და მისი ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს, ისტორიულ-კულტურულ და ბუნების ძეგლებს.

ახალი კოდექსით განსაზღვრულია ტყითსარგებლობის შემდეგი სახეები:

პლანტაციური მეურნეობის მოწყობა

პლანტაციური მეურნეობა ნიშნავს გრძელვადიან ტყითსარგებლობას და გულისხმობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ხე-ტყის სასურველი პროდუქტებისა და სხვა მცენარეული რესურსების მოპოვებას. პლანტაციური მეურნეობის წარმოება შესაძლებელია ტყის სპეციალური სარგებლობის ფარგლებში. მეურნეობით დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სარგებლობაში ფართობი, სადაც მათ შეუძლიათ განახორციელონ აღნიშნული საქმიანობა.

სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა გულისხმობს ტყის მიწების გამოყენებას **სათიბად, საძოვრად** ან **ფუტკრის დროებითი სადგომების** მოსაწყობად.

საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა

საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობა მოიცავს ამ უფლების განსახორციელებლად აუცილებელი შენობა-ნაგებობების, მათ შორის, კვების ობიექტების და დამხმარე სათავსების აშენებას, მოწყობილობებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟებას, სასეირნო ბილიკებისა და გადასახადების მოწყობას.

ტყის ტერიტორიაზე აკრძალულია კაპიტალური შენობა-ნაგებობების მოწყობა და ყველა სახის ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით ნორმებს.

ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება

ტყის არამერქნული რესურსების (სოკო, სამკურნალო ბალახები), მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა (წიწვი, ფოთოლი, ფისი, თესლი, გირჩი, ნაყოფი) და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (ფესვი, ქერქი, ძირკვი) კომერციული დამზადების მიზნით, ტყით სპეციალური სარგებლობა ხორციელდება დაინტერესებულ იურიდიულ პირებზე მოპოვების უფლების გაცემის ფორმით.

ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა პირადი მოხმარებისთვის უსასყიდლოა და არ საჭიროებს ნებართვას.



თევზის მეურნეობის მოწყობა

თევზის მეურნეობის მოწყობის მიზანია კომერციული მიზნით თევზის გამოზრდა და მოპოვება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. თევზის მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყითსარგებლობის განსახორციელებლად ტყის ფართობით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა იწყება ტყით სპეციალური სარგებლობით დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

ცხოველთა თავშესაფრის და სანაშენის მოწყობა

ცხოველთა სახეობების სანაშენეები და თავშესაფრები ეწყობა ცხოველთა სახეობების შენარჩუნების ან გამრავ-ლების და შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

გრძელვადიანი ტყითსარგებლობა ხორციელდება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იდება აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, კოდექსის და ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

15 რას გულისხმობს სატყეო მეურნეობა ?

ტყის მართვის ორგანოები სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს ახორციელებენ ტყის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე. მათ ენიჭებათ უფლებამოსილება სრულფასოვნად განახორციელონ ტყესთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის სრული ციკლი დაგეგმვიდან აღსრულებამდე, კერძოდ: შეისწავლონ და აღრიცხონ ტყე, ხელი შეუწყონ მის კვლავწარმოებას, დაიცვან ტყე ხანძრისაგან და მავნებელ-დაავადებებისაგან, განახორციელონ ტყითსარგებლობა და აგრეთვე უზრუნველყონ მისი რეგულირება, გაუწიონ კონტროლი ტყის რესურსების გამოყენებას.

მართვის ორგანოებს შეეძლებათ ტყითსარგებლობის შემდეგი სახეების განხორციელება: ხე-ტყის დამზადება, რაც გულისხმობს ზეზემდგომი ხის მოჭრას, დახარისხებას და ტყიდან გამოტანას (ტრანსპორტირებას), სამონადირეო და თევზის მეურნეობის მოწყობას, პლანტაციური მეურნეობის წარმოებას, არამერქნული რესურსების მოპოვებას, ტურისტულ-რეკრეაციული მიზნით სარგებლობას და სხვა.

16 როგორ მოვიპოვოთ ფიჩხი ?

ფიჩხი ტყეში განთავსებული მერქნიანი მცენარის ძირნაყარი ტოტებია, რომელთა დიამეტრი ძირეულ ნაწილში არ აღემატება 6 სმ-ს.

ტყის საერთო სარგებლობის ფარგლებში მოსახლეობას პირადი მოხმარების მიზნით ექნება უფლება, ტყეში უსასყიდლოდ მოიპოვოს ფიჩხი, აგრეთვე ხის მეორეხარისხოვანი მასალები.

17 რას მოიცავს ტყეში შესვლის და გადაადგილების უფლება? რა შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ?

ყველას აქვს უფლება, იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში დასვენების და გართობის მიზნით (მათ შორის კერძო საკუთრების ტყეში). ტყეში გადაადგილება იზღუდება ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილებისა და მისი შედეგების შემცირებისაკენ მიმართული პრევენციული ზომების ან ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებების განხორციელების დროს; გადაადგილება აგრეთვე შესაძლოა დროებით შეიზღუდოს ტყის იმ ფართობებზე, სადაც განლაგებულია ტყის სათესლე უბანი, სამონადირეო მეურნეობა, თევზის მეურნეობა, სანერგე, ხე-ტყის და მექანიზმების საწყობი, შენობა-ნაგებობა.

ტყეში ცეცხლის დანთება

დასაშვებია ტყეში ცეცხლის დანთება იმ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში (ბაქნები), სადაც განთავსებულია შესაბამისი საინფორმაციო ნიშანი. ბაქნები წინასწარ ეწყობა ცეცხლის კერიდან მინიმუმ **1.5 მეტრის** რადიუსში, ადვილად აალებადი მასალებისგან (თივა, ფოთლები, ფიჩხი, ხმელი ბალახი) გაწმენდილ ადგილებში. სხვა ადგილებში თვითნებურად ცეცხლის დანთება იკრძალება.

18 როგორ წესრიგდება ტყეში საქონლის ძოვების საკითხი ?

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დასაშვებია ტყეში ძოვება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტყის მდგომარეობის გათვალისწინებით ეს შეუძლებელია.

ტყეში საქონლის ძოვების ადგილების გამოყოფა განხორციელდება ტყის მართვის გეგმის საფუძველზე. საქონლის ძოვებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი საინფორმაციო ნიშანი.

19 რა არის საქმიანი ეზო ?

საქმიანი ეზო არის ტყის რესურსების სასაწყობე და სარეალიზაციო პუნქტი. ეროვნული სატყეო სააგენტო საქმიან ეზოებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოაწყობს. აღნიშნული მექანიზმი გაუადვილებს მოსახლეობას და კერძო სექტორს ხე-ტყის შეძენას და ტრანსპორტირებას მათთვის სასურველ პერიოდში.

20 როგორ იქნება შესაძლებელი ბოძის, სარის და ჭიგოს მოპოვება ?

საქმიან ეზოებში განთავსებული იქნება მართვის ორგანოს მიერ ტყეში დამზადებული ხე-ტყის დახარისხებული პროდუქტი. მოსახლეობას მარტივი წესით შეეძლება საქმიანი ეზოდან ჭიგოს, ბოძის და სარის შეძენა. თითოეული განმარტებულია შემდეგნაირად:

- ბოძი – საყრდენ მასალად ვარგისი მსხვილი ბოლოდან 8-დან 12 სანტიმეტრამდე დიამეტრის მერქნული რესურსი
- სარი - სასოფლო სამეურნეო დანიშნულების, მსხვილი ბოლოდან 4-დან 8 სანტიმეტრამდე დიამეტრის მერქნული რესურსი
- ჭიგო - სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მსხვილი ბოლოდან 4 სანტიმეტრამდე დიამეტრის მერქნული რესურსი

21 რას ითვალისწინებს კოდექსი ხე-ტყის გრძელვადიან ლიცენზიებთან დაკავშირებით ?

2006 წლიდან დაიწყო ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა. უკანასკნელ წლებში გარე-მოსდაცვითი ზედამხვედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგებმა და 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის დასკვნამ ნათლად აჩვენა, რომ ტყის ფონდის ლიცენზირების პროცესმა და სახელმწიფო რესურსების არაეფექტიანმა გამოყენებამ, ვერ უზრუნველყო საერთო კეთილდღეობის ზრდა, შემცირდა სახელმწიფო სარგებელი და გაუარესდა ტყეების მდგომარეობა. ახალი "საქართველოს ტყის კოდექსის" მიხედვით, გაუქმდება ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა, ხოლო მოქმედი შენარჩუნდება სალიცენზიო პირობებით განსაზღვრულ ვადამდე. ტყის გრძელვადიან ლიცენზიებს ჩაანაცვლებს მდგრადი სატყეო მეურნეობები.

22 რით ჩანაცვლდება ე.წ. „სოციალური ჭრა“ ?

"საქართველოს ტყის კოდექსის" ერთ-ერთი მთავარი სიახლეა სოციალური ჭრის ჩანაცვლება **ორგანიზე-ბული ხე-ტყის დამზადებისა და მერქნის მომარაგების** მექანიზმით. **2023 წლის 1 იანვრიდან** იცვლება მოსახლეობის მიერ ტყეში შეშის მოპოვების პრაქტიკა. თუმცა, სოციალური ჭრის აკრძალვა არ ნიშნავს მოსახლეობის სათბობი შეშის გარეშე დატოვებას - მართვის ორგანოს მიერ ტყეში დამზადებული ხე-ტყის დახარისხებული პროდუქტის (სამასალე, ნახევრად სამასალე, საშეშე და ნარჩენი ბიომასა) შეძენა მოსახლეობას მარტივი წესით შეეძლება "საქმიანი ეზოდან".

გარდამავალ პერიოდში, ფიზიკური პირის ინდივიდუალური სოციალური ინტერესების გათვალისწინებით, **საშეშე მერქნის მოპოვების უფლების ხე-ტყის დამზადების ბილეთის საფუძველზე გაცემა დასაშვებია 2023 წლის 1 იანვრამდე,** შესაბამისად 2023 წლამდე მოსახლეობა კვლავ ისარგებლებს სოციალური ჭრის ჩვეული პრაქტიკით ბილეთის საფუძველზე, თუმცა საშუალება ექნება **2021 წლის 1 იანვრიდან ასევე ისარგებლოს პირდაპირი მიყიდვის წესით უკვე არსებულ "საქმიან ეზოებში"** და შეიძინოს სასურველი ხარისხის და ოდენობის მერქანი.

23 რა ღონისძიებებს ითვალისწინებს კანონი ტყის აღდგენისა და მოვლის თვალსაზრისით ?

“საქართველოს ტყის კოდექსის” თანახმად, სავალდებულო ხდება ბუნებრივი და ანთროპოგენული პროცესების ან/და უკანონო ქმედების შედეგად წარმოშობილი ტყის გამეჩხერებული ადგილებისა და ღია ფართობების აღდგენა-გაშენებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელების ვადების დაცვა. კერძოდ, ტყის აღდგენა-გაშენება ხორციელდება არაუგვიანეს სამი კალენდარული წლისა. ვადის ათვლა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც დასრულდება ზიანის გამომწვევი მიზეზები და გაიწმინდება აღსადგენი ტერიტორია. თუ ტყის განახლება მიმდინარეობს ბუნებრივი მოთესვით ან ამონაყრით და ეს გარემოება წარმოშობს საფუძველს, რომ აღსადგენი ტერიტორია გატყევდება, ტყის აღდგენა უნდა განხორციელდეს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის გზით (ტერიტორიის შემოღობვა, აჩიჩქვნა).

ასევე უმჯობესდება ტყის სანიტარული მდგომარეობის კონტროლისა და მავნებელ-დაავადებების მონიტორინგის სისტემა.

24 რა შეზღუდვები ვრცელდება დაცული ტერიტორიების ტყის ფართობებზე ?

დაცული ტერიტორიების ტყის ფართობებზე დასაშვებია ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებით ტყითსარგებლობა, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნებით ტყითსარგებლობა, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსება და განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა (გარდა წიაღის შესწავლისა ან/და მოპოვებისა). სხვა სარგებლობის სახეები იკრძალება.

გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების ტყის ფართობებზე ვრცელდება დაცული ტერიტორიების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვები.

25 რა გავლენას მოახდენს კოდექსი დასაქმებაზე ?

ტყის მართვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს ტყის მართვაში **მეტყევის და სატყეო საქმის სპეციალისტის** სტატუსის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა.

სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების მასშტაბების ზრდა და მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა გამოიწვევს მზარდ მოთხოვნას სპეციალისტებსა და მუშა-ხელზე, უპირატესად სოფლად. გარდა ტყის მართვის ორგანოების მიერ ნაწარმოებ სამუშაოებზე (ხე-ტყის დამზადება, ტყის აღდგენა-გაშენება და სხვა) დასაქმებისა, ტყის რესურსების გადამუშავების მიმართულებით ჩნდება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შესაძ-ლებლობა.

26 სად შეიძლება მივიღოთ საჭირო განათლება ტყის სფეროში ?

ახალი “საქართველოს ტყის კოდექსით” **სავალდებულო ხდება სატყეო სექტორში პროფესიონალი კადრების დასაქმება.** ტყის მართვის ორგანომ საქართველოს ტყის მდგრადი მართვის პრინციპების განხორციელების მიზნით, 2025 წლის 1 იანვრამდე ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს მეტყევისა და სატყეო საქმის სპეცი-ალისტის კვალიფიკაციის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა ტყის მართვაში. ასევე, უნდა განა-ხორციელოს სპეციალისტთა რაოდენობის ზრდა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ტყეში არაუმეტეს 3500 ჰა-ზე უფლებამოსილების განხორციელება არანაკლებ 1 პირის მიერ.

ქვეყანაში არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და ასევე, პროფესიული კოლეჯები, სადაც შესაძლებელია სატყეო განათლების მიღება.

კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ 2017 წელს პროფესიული სასწავ-ლებლებისთვის დაამტკიცა სატყეო საქმის სასწავლო მოდულები. სასწავლო ცენტრებში სპეციალური პროგრამის გავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. პროგრამების გავლა შეეძლება ყველა მსურ-ველს. ამჟამად, სატყეო საქმის განათლებას უკვე სთავაზობს აბიტურიენტებს ახალციხის, კაჭრეთის, წინამძღვრიაანთკარის პროფესიული სასწავლებლები, აგრეთვე იგეგმება ქობულეთის, მესტიისა და თელავის სასწავლებლების ჩართვა პროცესში.

27 რა ვალდებულება აქვს ტყის სფეროში დასაქმებულ პირს ?

ტყის სფეროში დასაქმებული პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2025 წლის ბოლომდე უზრუნველყოს საკუთარი არაფორმალური **პროფესიული განათლების აღიარება.**

ჩანაწერები

ჩანაწერები

მისამართი: მარშალ გელოვანის 6, 0159, თბილისი, საქართველო

ვებ.გვერდი: www.mepa.gov.ge; ელ.ფოსტა: info@mepa.gov.ge

ტელ: + 995(32) 2 47 01 01; + 995(32) 2 37 80 09

ცხელი ხაზი: 15 01